პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

250.000 ტონა ჩაისათვის!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 აგვისტო ოთხშაბათი 1971 წელი № 194 (15104)

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

გალელმა მეჩაიეებმა პირობა შეასრულეს

გეგმის გაძლიერებით იქნება 2.500 ტონა ჩაის ფოთოლი

საუბარი პარტიის გალის რაიკომის პირველ მდივანთან ლ. რიგვავასთან.

აფხაზეთში ყველაზე მეტ ჩაის ნედლეულს გალის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აწარმოებენ. ამიტომ დაძაბული შრომა იყო საჭირო დასახული ამოცანის შესრულებისათვის, — განაცხადა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში პარტიის გალის რაიკომის პირველმა მდივანმა **ლ. რიგვავამ.** საერთოდ წელს ვეიან დიწყო ჩაის კრეფის სეზონი, შემდეგ კი ივნისში, ივლისსა და აგვისტოში ნამდვილად იმამაცეს რაიონის მეჩაიეებმა. მიუხედავად ივლისის გვალვებისა, მათ ყველაფერი გააკეთეს დაღებული პირობის შესრულებისათვის.

ამის შედეგად შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს. გალელებმა 22 აგვისტოს სამშობლოს უპატაკეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულება. **მოიკრიფა და მრეწველობას ჩაბარდა 23.144 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 23.090 ტონისა.** გალელთა გამარჯვება განსაკუთრებით აღსანიშნავია შემართება აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მშრომელებისა, რომლებსაც ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის მდიდარი გამოცდილება აქვთ. რაიონში გამრავლდნენ სახელოვანი მექანიზატორი ქალის **ნაზიბროლა ხასაიას** მიმდევრები. კარგ წარმატებებს მიაღწიეს გალისა და ბარღების საბჭოთა მეურნეობების, ოქუმის, რეფოშვილეთის, მუხურის, თაგილონის, ჩხოროთოლის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ჩინებულად იმუშავეს ჩაის მრეწველობის მუშაკებმა. რაიონის ჩაის ფაბრიკებმა უზრუნველყვეს მიღებული ნედლეულის დროულად გადამუშავება და ტექნოლოგიური პროცესების დაცვა. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ ყოფილა რაიმე სერიოზული შეფერხება. ახლა საქმე ის არის, რომ ვადამდე შესრულდეს ნაკისრი ვალდებულება.

რაიონის მეჩაიეებმა, ჩაის მრეწველობის მუშაკებმა **პირობა დადეს ხეზონის ბოლომდე წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და გადაამუშაონ 2.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.** ეს პირობა შესრულებული იქნება.

• • •

სურათზე: გალის საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მეჩაიე ნინო დოლბაია, რომელმაც მოკრიფა 4 ტონაზე მეტი ნედლეული.

ფოტო ი. ჯაზონიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

გავაძლიერთ მარცვლეულის წარმოება

მეცხრე ხუთწლედში მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველზე სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარ პრობლემად რჩება მარცვლეულის წარმოების ზრდა. პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ საჭიროა „მნიშვნელოვნად გავაძლიერთ მარცვლეულის მოსავლიანობა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში... გავაფართოოთ მარცვლეულის წარმოება სარწყავ და დაშრეტილ მიწებზე.“

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის ჩვენს რესპუბლიკაში სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება. უკანასკნელ წლებში მოსავლიანობის გადიდების მიზნით მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობის 98 პროცენტი ითესება დარაიონებული ჯიშებით, შესამჩნევად გაუმჯობესდა თესლის ხარისხი, ყოველწლიურად იზრდება მარცვლეული კულტურებისათვის მინერალური სასუქების გამოყოფა, ნათესების დიდი ნაწილი მოთავსებულია სარწყავ მიწებზე, უფრო ვითარდება თესლბრუნვები, მხვნელ-მთესველებს აქვთ თანამედროვე დიდძალი ტექნიკა.

მიწა სოფლის მეურნეობაში ძირითადი საწარმოო ხაშუალებაა. მას უნდა გავუფრთხილდეთ, გონივრულად გამოვიყენოთ, რათა მოგვცეს იმის მაქსიმუმი, რისი მოცემაც შეუძლია. მიწა არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხიუსტის შექმნის საფუძველი. იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც დროულად და მაღალხარისხოვნად ამუშავებენ ნათესებს, მტკიცედ იცავენ აგროტექნიკურ მოთხოვნებს, წლების მანძილზე უხვი მოსავალი მოჰყავთ. მაგალითად, გასულ ხუთწლედში უბარლის რაიონში მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა 19,2 ცენტნერი, ვანის რაიონში — 20,1 ცენტნერი, ზუგდიდის რაიონში — 20,9 ცენტნერი. სიმინდის ყველაზე დიდი მოსავალი მიიღო ახმეტის რაიონმა — 27,6 ცენტნერი. საშემოდგომო ხორბალი უხვად მოიყვანეს სარწყავზე წითელწყაროს, ხიზნალისა და ლაგოდეხის რაიონებმა. წელს ხორბლის კარგი მოსავალი მიიღო წითელწყაროს, გარდაბნის, გორის, საგარეჯოს და სხვა რაიონების მეურნეობების დიდმა ნაწილმა.

ეს წარმატებანი უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონები და კოლმეურნეობები ჯერ კიდევ მეტად დაბალ მოსავალს არ იღებდნენ. ეს მაშინ, როცა მათ უთუოდ შეუძლიათ უხვი მოსავალი მიიღონ. უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლეულის წარმოების არსებული დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება ჩვენს შესაძლებლობებს.

მერვე ხუთწლედში კოლმეურნეობებში მარცვლეულის წარმოების გეგმა არ შესრულებულა და ამით რესპუბლიკას დააკლდა ათეულ ათასობით ტონა მარცვლეული.

ამ ფაქტებზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ უკვე კარზე მოგვადგა საშემოდგომო ხვნა-თესვის დღეები და წინა წლებში არსებული ნაკლოვანებები არ უნდა გამეორდეს. ეს უწინარეს ყოვლისა უნდა გათვალისწინონ რესპუბლიკის იმ რაიონებმა, რომლებმაც წინა ხუთწლედში მეტად დაბალი მოსავალი მიიღეს. მაგალითად, ქარელის, ცხინვალის, დუშეთის, თეთრი წყაროს, წყალტუბოს, ცხაკაიას, ზეზეკორის რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აფხაზეთში მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავლიანობა 9-11 ცენტნერს არ აღემატებოდა.

ასეთი დაბალი მოსავლის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძებოთ ცუდ მუშაობაში, იმაში, რომ უხეშად ირღვეოდა მარცვლეულის წარმოების ტექნოლოგია, თესვის, მოვლა-მოყვანის აგროწესები, შარშან კოლმეურნეობებში გეგმით გათვალისწინებულ 2.432 ჰექტარზე სიმინდი სულ არ დათესილა, ხოლო თესვის ვადების დარღვევით დათესეს 19 ათასი ჰექტარი. ასევე 1970 წელს საშემოდგომო თივთივიანი მარცვლეული კულტურები კოლმეურნეობებში აგროტექნიკური მოთხოვნების დარღვევით დათესეს 39 ათასი ჰექტარი.

მარცვლეულის დაბალი მოსავლიანობის სხვა მიზეზიც არის, ბევრგან ნაკლებ ყურადღებას უთმობენ თესვისათვის ნიადაგის მომზადებას, ნათესების დამუშავებას. იყო ფაქტები, როცა ნიადაგის ძირითადი ხვნის დროს არ იყენებდნენ წინამხვნელიან გუთნებს, ირღვეოდა ხვნის სიღრმე და ხარისხი.

რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა სარწყავ წყლისა და სასუქების გამოყენების უგულებელყოფას. ასეთი მაგალითები იყო ბასპის, საბარეჯოს, ბურჯასანის, ბარდავნის, წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძის რაიონებში. ამიტომაც სარწყავ მიწებზე დაბალი მოსავალი მიიღეს. ზოგან სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა, სპეციალისტებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეასუსტეს ყურადღება მარცვლეულის წარმოების განვითარებისადმი. შარშან ასობით ჰექტარი სახნავი მიწა გამოუყენებელი დარჩა დუშეთის, ბოგდანოვკისა და ქარელის რაიონებში.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საქართველოს ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დასახეს ქმედითი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაში თავიანთი წვლილი უნდა შეეტანონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, „საკსოფლტექნიკამ“, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა. საჭიროა უფრო ფართოდ მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესლე მასალის როგორც სტაციონარული, ისე მობრავი საწყენი რაზმები. ეს ღონისძიება აუცილებელია განსხორციელდეს „საკსოფლტექნიკის“ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, დმანისის რაიონულ განყოფილებებში. მეურნეობათა განაცხადების მიხედვით უნდა დაჩქარდეს ბრტყლად მჭრელი გუთნებისა და ეროზიის საწინააღმდეგო სხვა ახალი ტექნიკის შემოწოდება. წესრიგში უნდა მოვიყვანოთ თესლისათვის იზოლირებული სასაწყობო მეურნეობა. ამასთან ერთად საჭიროა დავაჩქაროთ მომდინარე წლის მოსავლის აღება, მარცვლეულის მიყიდვა სახელმწიფოსათვის.

უკვე დაიწყო საშემოდგომო ხვნა. თესვაც შორს არ არის. საჭიროა საკმარისი რაოდენობით მოვიმარაგოთ დარაიონებული ჯიშიანი თესლი. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით, მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ნათესლე დღემდე გამოყოფილია 6.879 ცენტნერი, ანუ შარშინდელთან შედარებით ექვსჯერ მეტი. მაგრამ ჯერ კიდევ გამოსაყოფია ათობით ათასი ცენტნერი თესლი. ამას კი ამოავითვე უნდა მიექცეს ყურადღება. ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, რათა თესვის დღეებში ზოგიერთ მეურნეობას არ მოუხდეს თესლის ძებნა და სათეს კონდიციამდე აყვანა. ამ მხრივ კარგი ნაბიჯები აქვთ გადადგმული ქარელის, გორის, კასპის, ხიზნალის და მთელ რიგ სხვა რაიონებს.

მარცვლეულის წარმოების გადიდების ინტერესები მოითხოვს მკვეთრად ავამაღლოთ კოლმეურნეობათა გამგეობების, პარტიული ორგანიზაციების, სპეციალისტების როლი და პასუხისმგებლობა. ყველა პირობა შეექმნათ იმისათვის, რომ სანიმუშო აგროტექნიკურ ვადებში ჩავატაროთ საშემოდგომო ხვნა-თესვა, განუხრელად შეასრულოთ პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის დასახული ამოცანები.

ხუთწლედი-ვადამდე!



ხორბლის დოვლათი საკოლმეურნეო კალოზე.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ხორბლის უხვი მოსავალი

ცხინვალი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში წელს მარცვლეული კულტურების მოსავალმა გაასაოცა საკოლმეურნეო სოფელი.

განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოვიდა ზნაურის რაიონის ძველეთის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებზე. ქეთეთორის, ოონჩის, ველების ნაკვეთებში საბჭოთა მეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 30-32 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი აიღო. იყო ნაკვეთები, სადაც ამ დონისაც ბევრად გადაჭარბება.

პურეულის მოსავლით საშემობლო ასახელეს ამავე რაიონის ავნევის, ცხინვალის რაიონის ქემერტის, კეხვის, ძარწემის, დისევის კოლმეურნეობებმა, ერედვის, არცევისა და თამარაშენის საბჭოთა მეურნეობებმა.

პურეულის მკა დასასრულს უახლოვდება ტირიფონის ველზე, სადაც წინაგრის, ორჭოსნის, ბბრევის კოლმეურნეობები (ლენინგორის რაიონი) საშუალოდ ჰექტარზე 30-35 ცენტნერ ხორბალს ღებულობენ.

თავდადებული შრომით

● **ბათუმი.** (საკ. კორ.). მიმდინარე წლის დასაწყისში ბათუმის ტყავის ქარხანას შეუერთდა ტყავ-ნედლეულის პირველადი გადამუშავების ქარხანა და შეიქმნა ტყავის საწარმოო გაერთიანება, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საწარმოზე — გაუმჯობესდა საამქროების ნედლეულით მომარაგება და შრომის ორგანიზაცია, ამაღლდა პროდუქციის ხარისხი. გაერთიანებამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა 7 თვის დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 110 ათასი კვადრატული დეციმეტრი ტყავი.

● **სოხუმი.** (საკ. კორ.). ამას წინათ სოხუმის სამკერვალო-სატრიკოტაჟო ფაბრიკა ახალ კეთილმოწყობილ შენობაში გადავიდა. საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშათა შრომის პირობები. ახალ კორპუსში დაიდგა 10 უახლესი საკერავი მანქანა, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება. მიმდინარე წლის შვიდი თვის მანძილზე მიღებულმა მოგებამ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 130 ათასი მანეთისა 152 ათას მანეთს მიაღწია. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

ფაბრიკის კოლექტივის ვალდებულებაა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალება 25 დეკემბრისათვის შეასრულოს.

● **ზუგდიდი.** (საკ. კორ.). მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს დიდი შრომითი აღმავლობა იგრძნობა ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატში (დირექტორი ო. ფაცაცია). მექანიზმებმა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის 7 თვის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. ამ პერიოდში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 244 ათასი მანეთით. მექანიზმებმა ენთუზიაზმით გამოუხმაურნენ თაოსნობას — ხუთი დღის დავალება შეასრულოთ ოთხ დღეში. ახლა ბევრი მუშა იმაზე მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე 5 დღის ნორმით უნდა გამოეშვათ.

კომბინატის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის შეასრულოს.

● **ახალციხე.** (საკ. კორ.). ელექტროძრავების ქარხნის კოლექტივმა შვიდ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 67 ათასი მანეთის პროდუქცია. რეალიზაციის დავალება შესრულა 117,6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 7,4 პროცენტით. ქარხანაში ბევრი მიმღებელი გამოუნაწილა რუსთაველი და თბილისელი მოწინავე მუშების პატრიოტულ ინიციატივას — ხუთი დღის დავალება შეასრულოთ ოთხ დღეში.

ქარხნის მოწინავე ხარატებმა შ. ჩაბრიძემ, მ. ზედგინიძემ, ა. კარიბოვამ, ბ. ჩიტაძემ და სხვებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამ თაოსნობას, აგვისტოს 15 დღეში გადაჭარბებით გაანაღდეს 20 დღის დავალება.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

გაიმართა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლეგიისა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა, რომელშიც განხილა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები მეორე კვარტალის მუშაობის მიხედვით.

შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოაცხადეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 7 სამმართველოს კოლექტივი, რომელსაც მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სასოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს თბილისის № 1 წისქვილკომბინატის კოლექტივი და მიანიჭეს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით **რესპუბლიკურ** სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ქუთაისის № 2 ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივმა, რომელსაც მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. (საქდესი).

ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲕᲐᲮᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

29 აგვისტო მეშუახტის დღეა

დონეცკი. დონეცკის ოლქის მეშახტეებმა ვადამდე შეასრულეს წლიური ვალდებულება: გეგმის გადამეტებით ამოიღეს 3,5 მილიონი ტონა ქვანახშირი. საშუალო სადღეღამისო მოპოვება წლის დამდეგიდან თითქმის ხუთასი ათასი ტონით გაიზარდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 5,6 პროცენტით.

დონეცკის შახტების 24 ლავის მაღაროელები დღეღამეში საშუალოდ ათას ტონა ქვანახშირს იღებენ.

ტულა. ათი დღეღამით უსწრებენ საწარმოო პროგრამას ტულის ქვანახშირის კომბინატის მაღაროელები. წლის დამდეგიდან მათ დავალების გადამეტებით ამოიღეს ნახევარ მილიონ ტონაზე მეტი სანობრი. თითქმის 8 პროცენტით გაიზარდა თვითეული მეშახტის გამომუშავება.

ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების გზით აქ მილიონი მანეთი ზედგამითი მოგება მიიღეს.

ვლადივოსტოკი. დღეღამეში 1.200 ტონაზე მეტ ქვანახშირს იღებს ა. იკონიკოვის ბრიგადა, რომელიც ზღვისპირეთის ქვანახშირის კომბინატის ურგალის შახტასმმართველოში მუშაობს. შორეული აღმოსავლეთის მაღაროელები ფართოდ ავრცელებენ ფიზიკოსების, კუზბასისა და ჩვენი ქვეყნის სხვა აუზების საუკეთესო კოლექტივების მოწინავე გამოცდილებას.

ზღვისპირეთის მეშახტეებმა, რომლებიც ჩაბმული არიან 1971 წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში, ბნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სოციალისტური ვალდებულებანი. (საქდესი).

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ

ლენინგრადი, 23 აგვისტო. (საკადესის კორ.). სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის სახლში დღეს გაიხსნა სამელიორაციო მშენებლობის მოწინავე მეთოდების სრულიად საკავშირო სკოლა. სასწავლო აუდიტორიაში შეიკრიბნენ რუსეთის სფსრ სამოცდაათი ოლქის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ოსტატები, წამყვანი სპეციალისტები, სამმართველოებისა და მთავარი სამმართველოების ხელმძღვანელები.

მეცადინეობის პროგრამაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამელიორაციო მშენებლობის ნაკადურ მეთოდს, რომელსაც წარმატებით იყენებენ ბალტიისპირეთში, უკრაინაში, ლენინგრადის ოლქში.

ამ კომპლექსური მეთოდის ტექნოლოგია ითვალისწინებს ამოსაწრობი სისტემის მშენებლობას, ბუჩქნარისა და ქვა-ღორღის მოსპობას, კირის, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანას და შემკვეთისათვის მწა სახნავის ჩაბარებას, რომელიც პირველსავე წელს მოსცემს უხვ მოსავალს.

ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ, ᲒᲐᲜᲕᲭᲕᲠᲘᲢᲝᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

23 აგვისტოს მუშაობა დაამთავრა მოსკოვში მიმდინარე მეცნიერების ისტორიის საკითხთა XIII საერთაშორისო კონგრესის უველაზე ახალგაზრდა სექციამ — „საავიაციო, რაკეტული და კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია“ სექციამ. პირველი სხდომა გახსნა აკადემიკოსმა ა. ა. ბლაგონრავოვმა,

სექციის მუშაობის სამი დღის განმავლობაში განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხებიან ავიაციისა და კოსმონავტიკის დარგის ძირითად მიმართულებებსა და გამოკვლევებს. თავისი სიახლითა და პრობლემათა ფართო მოცულობის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო იყო სექციის თემატური სხდომა, რომელიც მიზნად ისახავდა კონგრესის მონაწილეთათვის გაეცნო სხვადასხვა ქვეყნების ცალკეულ მეცნიერთა და მეცნიერულ სკოლათა როლი რაკეტულ-კოსმოსური ტექნიკის განვითარებაში. ამ თვალსაზრისით მიღებული მოხსენებების სერიაში, რომლებიც წაიკითხეს ამერიკელმა, პოლონელმა, ვერმანელმა, ფრანგმა და სხვა მეცნიერებმა, პირველი დაეთმო კოსმონავტიკის ფუძემდებელს კ. ციოლკოვსკის. მოხსენება გააკეთა მისმა ერთ-ერთმა მიმდევარმა, საბჭოთა მეცნიერმა მ. ტიხონრავოვმა. თავის მოხსენებაში მან გამოჰყო მეცნიერის უდიდესი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელიც ადასტურებს ციოლკოვსკის უდავო პრიორიტეტს, მსოფლიოს მეცნიერების მიერ ამ პრიორიტეტის აღიარებას.

ინტერესით მოისმინეს აგრეთვე მოხსენებანი მსოფლიოს კოსმონავტიკაში ისეთ ადამიანთა მიერ შეტანილი წვლილის შესახებ, როგორიც არიან ფ. ა. ცანდერი — საბჭოთა რაკეტულ-კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ი. კონდრატიუკი, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კოსმონავტიკის თეორიაში.

ფართოდ არის ცნობილი კ. ციოლკოვსკის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი საბჭოთა მიმდევრის აკადემიკოს ს. პ. კოროლიოვის სახელი. ბ. რაუშენბახმა და ი. ბირიუკოვმა თავიანთ მოხსენებაში დაწვრილებით და ყოველმხრივ დასაბუთეს ეს.

კოსმოსური ტექნიკის განვითარების, კოსმოსური სივრცის, მთვარისა და პლანეტების გამოკვლევის პროცესში ჩამოყალიბდა რაკეტულ-კოსმოსური რაკეტმშენებლობის საბჭოთა სკოლა.

საავიაციო, რაკეტული და კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის სექციის სხდომებზე მოსმენილ თვითეულ მოხსენებაში იგრძნობოდა მათი ავტორების გულწრფელი სურვილი, რომ მეიცნონ წარსული, ყოველმხრივ და ღრმად გაარკვიონ ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც ავიაციისა და კოსმონავტიკის სწრაფი განვითარების საუკუნეში ხდება, და, შესაძლოა, რაც მთავარია, შეძლებისამებრ განჭვრიტონ მომავალი.

ა. რომანოვი,
საკადესის მეცნიერული მიმომხილველი.

შეინიშნები მეცნიერების ისტორიის საკითხთა XIII საერთაშორისო კონგრესიდან

□

დებითი მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელიც ადასტურებს ციოლკოვსკის უდავო პრიორიტეტს, მსოფლიოს მეცნიერების მიერ ამ პრიორიტეტის აღიარებას.

„ᲚᲘᲔᲞᲐᲘᲐᲡ ᲥᲐᲠᲕᲐ“ — ᲚᲘᲢᲕᲔᲚᲔᲑᲡ

ლიეპაია (ლატვიის სსრ), 23 აგვისტო. (საკადესის კორ.). აქ დამთავრდა მსუბუქი მუსიკის მეზუთე ტრადიციული ფესტივალი. სომხეთის, საქართველოს, მოლდავეთის, ბელორუსიისა და სხვა რესპუბლიკების საესტრადო ორკესტრებისა და ანსამბლების 18 კოლექტივმა გამართა პაექრობა მუსიკალური შეჯიბრების მთავარი პრიზისათვის „ლიეპაიას ქარვისათვის“.

დიდ საესტრადო ორკესტრებს შორის ეიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია ლიტვის ქალაქ კაუნასის ორკესტრი „ოქტავა“. მას მიენიჭა „ლიეპაიას ქარვა“. მცირე ორკესტრების ჯგუფიდან პირველი ადგილი მოიპოვა რიგის ჯარისკაცთა საესტრადო ანსამბლმა „ვარსკვლავმა“.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲣᲚᲘ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

პროფკავშირულ-კომკავშირული მძლეოსნური კროსი

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა 1971 წლის სექტემბერში მოაწყოს საქართველოს პროფკავშირულ-კომკავშირული საშემოდგომო მძლეოსნური კროსი. კროსის ამოცანაა კიდევ უფრო გააუმჯობესოს მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებს, უმაღლესი და სპეციალური საშუალო სასწავლებლებისა და სკოლების ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტულ კლუბებში. მძლეოსანთა კრისი მიზნად ისახავს მშრომელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური კულტურისა და სპორტის რეკიონალურ მეცადინეობაში ფართოდ ჩაბმას; „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ და „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“ კომპლექსების ნორმების ჩაბარებას; სპორტული თანრიგების შესრულებასა და კროსის ნაკრები გუნდების დაკომპლექტებას.

კროსი ეწყობა ყველგან და გაყოფილია ოთხ ეტაპად. პირველი ეტაპი ითვალისწინებს მასობრივ შეჯიბრებებს სამამქრობში, განყოფილებებში, ცვლებში, ფაკულტეტებზე, კურსებზე, სასწავლო ჯგუფებში; მეორე ეტაპი — მასობრივ შეჯიბრებებს საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, სკოლებში, მესამე — მასობრივ შეჯიბრებებს რაიონებსა და ქალაქებში საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობების, დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების ფიზიკური კულტურისა და სპორტის კლუბების შორის; მეოთხე — საქართველოს რესპუბლიკური პროფკავშირულ-კომკავშირული საშემოდგომო მძლეოსნური კროსის ფინალურ შეჯიბრებებს 26 სექტემბერს, თბილისის ჰიროდრომზე.

კროსის ფინალური ნაწილის გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თასით და საქართველოს ალკგ ცენტრალური კომიტეტის სიგელით. გუნდები, რომლებიც დაიკავებენ მეორე და მესამე ადგილებს, დაჯილდოვდებიან საქართველოს ალკგ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სიგელებით.

საქართველოს რესპუბლიკური საშემოდგომო პროფკავშირულ-კომკავშირული კროსის გამარჯვებულთა გუნდებისაგან შეიქმნება ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სრულიად საკავშირო პროფკავშირულ-კომკავშირულ საშემოდგომო კროსში. (საქდესი).

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

მსოფლიო დღე

ბერლინი

სოციალიზმის უპირატესობა

24 აგვისტო. (საკადესი). ეკონომიური ურთიერთდამარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის და სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარების კომპლექსური პროგრამა ხელს შეუწყობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის პოლიტიკური ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომ განმტკიცებას, მისი ეკონომიური ძლიერების ზრდას, წერს დღეს „ნოიეს დოიჩლანდი“ ეკონომიური ურთიერთდამარების საბჭოს 25-ე სესიის გადაწყვეტილებისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში.

სტატიაში აღნიშნულია, რომ სოციალისტური თანამეგობრობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლენინის ქვეყნის გამოცდილების უდიდეს საგანძურს. ქვეყნისა, რომელიც პირველი დაადგა სოციალიზმის გზას.

საბჭოთა კავშირს მძლავრი კვლევითი და საწარმოო პოტენციალი, აურაცხელი ბუნებრივი რესურსები მოპოვება და ყველაზე დიდი წილი შეაქვს საერთაშორისო სოციალისტური თანამშრომლობის განვითარებაში.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ეკონომიური ძლიერების ზრდას, რომელსაც ითვალისწინებს ეკონომიური ურთიერთდამარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომპლექსური პროგრამა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ორი სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის შეჯიბრებაში გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

ლონდონი — იყიდება აუქციონით

24 აგვისტო. (საკადესი). თუ წინათ ინგლისმა ამერიკას მიჰყიდა ლონდონის ტემზის ბიდი, ახლა აუქციონით ჰყიდიან ინგლისის ტერიტორიული წყლების ფსკერის მთელ რიგ ნაკვეთებს, სადაც აღმოაჩინეს ბუნებრივი გაზისა და ნავთობის მდიდარი საბადოები.

ინგლისის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ინიციატივით ლონდონში გაიმართა აუქციონი, რომელშიც მონაწილეობდნენ კაპიტალისტური სამყაროს უდიდესი ნავთობის კომპანიების მფლობელები და წარმომადგენლები, რათა შეეძინათ ნაკვეთები ჩრდილოეთის ზღვაში, რომლებიც დიდ მოგებას მისცემენ მათ.

აუქციონის დროს სამინისტრომ „მიიღო“ 130 მილიონზე მეტი გირვანქა სტერლინგი. ძირითადად იაგლისის ტერიტორიული წყლების ფსკერის ნაკვეთები ერგო ამერიკის ნავთობის კორპორაციებს — „ესოს“, „მობილ ოილს“, „გალფ ოილს“, აგრეთვე ინგლისა-ჰოლანდიის კორპორაციის — „როიალ დატჩ-შელს“.

როგორც ცნობილია, ინგლისის მრეწველობის მოთხოვნილება ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე პრაქტიკულად მთლიანად კმაყოფილდება საზღვარგარეთიდან, უპირველეს ყოვლისა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან და ნიგერიიდან შემოტანის ხარჯზე.

ჩრდილოეთის ზღვის ფსკერზე ნავთობისა და გაზის მდიდარი საბადოების აღმოჩენა პირველად ინგლისის ისტორიაში შესაძლებლობას აძლევდა ამ ქვეყანას თუნდაც ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა თავისი მოთხოვნილებანი საკუთარი წყაროებიდან.

მაგრამ თავიდანვე ჩრდილოეთის ზღვის ფსკერზე ნავთობისა და გაზის საბადოების უდიდესი ნაწილი ხელთ იგდეს ამერიკის კომპანიებმა. ლონდონში გამართულმა აუქციონმა კი ამ კომპანიებს მისცა ახალი შესაძლებლობანი დაეპატრონონ ინგლისის მრეწველობის ენერგომომარაგების წყაროებს.

ინდოეთი — ინგლისი

● ინდოეთის მთავრობამ გადაწყვიტა არ განაახლოს შეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ინდოეთისათვის სურსათის მიწოდების შესახებ. ეს განაცხადა სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სახელმწიფო მინისტრმა ანასახიბ ჯ. შინდეშ. განცხადება ადგილობრივ ეკონომიურ მიმოხილველებს მიანჩნიათ როგორც დადასტურება უდაო წარმატებებისა, რომლებიც ინდოეთმა მოიპოვა სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

● ბელფასტში კათოლიკეთა უბანში მომხდარი შეტაკების დროს მოკლეს კიდევ ერთი ინგლისელი ჯარისკაცი. ეს უკვე მე-15 ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეა, რომელიც წელს ჩრდილოეთ ირლანდიაში დაიღუპა.

● ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ე. ჰიტმა ოფიციალურად უარყო პარლამენტის ლეიბორისტული ოპოზიციისა და ინგლისის საზოგადოებრიობის მოთხოვნა, რომ ორი თვის წინათ პოლიციამ დააპატიმრა „აკრძალული პორტუგალიის კომუნისტური პარტიის 12 აქტივისტი, ნიკეროა“ (დაპატიმრებულნი, რომელთა — ორის ერთი ქალია, დღემდე გაუსამართლებლად და ბრალდებულად ყავთ ციხეებში, ან ლაგერებში ან ციხეებსა და ლაგერებში იცავენ).

● იუგოსლავმა პრაქტიკულმა 3. მედოვიჩმა, რომელიც გათხრებს აწარმოებდა დუნაის ნაპირზე, ქალაქ ნოვი-სადის მახლობლად აღმოაჩინა მამონტის ჩონჩხი. იქვე იპოვეს ნაშთები ძველებური იარაღისა, რომლითაც, როგორც ჩანს, მოკლეს ეს ცხოველი.

● უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ძლიერი წყალდიდობის შედეგად აღმოსავლეთ პაკისტანში დაიტბორა 13 ათასი სოფელი. დაიტბორა 60 ათასი ხანლი. არის მსხვერპლი. ადიდებულმა მდინარეებმა მოსავლის 60 პროცენტი გაანადგურეს.

ფაქტები

24 აგვისტო

ვიეტნამი და შეშფოთება

ნიუ-იორკი. 24 აგვისტო. (საკადესი). შიშისა და შეშფოთების ვითარებაში გაიღო გუშინ საერთაშორისო საკალენდო ბირჟების დასავლეთ ევროპაში, ისინი მთელი კვირის განმავლობაში დახურულნი იყვნენ მას შემდეგ, რაც ამერიკის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ფასების დევალვაციის

კურსის ოქროზე და ანუ ფასების ფიქსაციის ოქროზე. ლონდონის, ბრიუსელისა და ციურიხის ბირჟებზე, რომლებშაც განაახლეს საგალუტო ოპერაციები, დოლარის კურსი დაეცა. ბევრი ექსპერტი მოკვითხრობს, თუ რა დონეზე შეჩერდება დოლარის „მერყეობა“ კურსი და საერთოდ მოხდება თუ არა ეს.

გაზეთი „კრისენენ ჰაივეს მონიტორი“ წერს, რომ ვიეტნამის ცალმხრივმა მოქმედებამ „ყველაზე სერიოზული დარტყმა მიაყენა“ საერთაშორისო საგალუტო სისტემას, მისი შექმნის დღიდან 1944 წლის შემდეგ. ამ დარტყმამ შეარყია კაპიტალისტური სამყაროს საერთაშორისო საგალუტო სისტემის საფუძვლები, რომელმაც დოლარი დაუკავშირა ოქროს, ხოლო სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ვალუტები — დოლარს.

გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ აღიარებს, კაპიტალისტური სამყაროო „ახალ საგალუტო სისტემას ოდნავ თუ მიუახლოვდაო“. გაზეთი აღნიშნავს, რომ არც ერთი დიდი ქვეყანა არ დადასტურებულ თავისი ვალუტის რევალვაციას, როგორც ამას მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატები.

კვლავ თავდასხმები

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკადესი). ამერიკის ავიაცია აძლიერებს საჰაერო ომს ვიეტნამში. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგანგებო იუწყება, 23 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა თავს დაესხნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მე-17 პარალელის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებს. იმავე დღეს ამერიკის „ბ-52“-ტიპის სტრატეგიულმა ბომბდამშენებმა დაბომბეს დემილიტარიზებული ზონის რაიონები და სამხრეთ ვიეტნამის ჩრდილოეთი რაიონები.

ინდოეთი

ზინასწარგანზრახული მკვლელობა

24 აგვისტო. (საკადესი). ამერიკის საზოგადოებრიობის პირი წარმომადგენელს მიუჩნია, რომ წინასწარგანზრახული და დაგეგმილი დანაშაული იყო სანკუენტინის საპყრობილეში ზანგი მოღვაწის ჯორჯ ჯექსონის მკვლელობა და უარყოფს საპყრობილის დაცვის ვერსიას, თითქოს ჯექსონი მოკლეს „გაქცევის ცდის დროს“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ჯექსონის ადვოკატმა ტორნმა განაცხადა, არ მჯერა გაქცევის ვერსიაო. „ჯექსონი უნდა წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე და დარწმუნებული იყო, რომ სასამართლოზე გამოიჩვენდა მისი უდანაშაულობა“, — თქვა ტორნმა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჯექსონს — „სოლედადური ძმების“ ერთ-ერთ ზანგს დაბრალეს თეთრკანიანი ზედამხედველის მკვლელობა.

ნიუ-იორკი

ჯონ უარს ამბობს

24 აგვისტო. (საკადესი). გადამდგარი საიგონელი გენერალის ზიონგ ვან მინის შემდეგ, რომელმაც გადაწყვიტა მონაწილეობა არ მიიღოს „პრეზიდენტის არჩევნებში“, „არჩევნებში“ კენჭისყრაზე უარი განაცხადა ახლანდელმა „ვიცე-პრეზიდენტმა“ ნგუენ კაო კიმაც.

მანამდე კის კანდიდატურა რამდენჯერმე განიხილა ეგრეთწოდებულმა უმაღლესმა სასამართლომ. თავდაპირველად სასამართლომ იგი ბათილად ცნო, ხოლო შემდეგ, როგორც მიმოხილველები აღნიშნავენ, ვაშინგტონის ზეგავლენით ნება დართო კის კენჭი ეყარა.

მაგრამ კის დღეს განაცხადა, რომ მომავალი „არჩევნები“ მხოლოდ „შორმა“ იქნება ნგუენ ვან თხიეუს პირადი ხელისუფლების განსამტკიცებლად, და ამიტომ იგი „უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს ამ შეთქმულებაში“.

როგორც საიგონიდან იუწყებიან, ამერიკის საელჩომ „სანანული გამოთქვა“ ნგუენ კაო კის ამ გადაწყვეტილების გამო. საიგონში მომხდარი სკანდალი ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ვერ ახერხებს მიანიჭოს „პრეზიდენტის არჩევნებს“ რესპუბლიკურობა და ჩქმალავს მის ყალბ ხასიათს.

„თავისუფალი სამყაროს“ ნამდვილი სახე

ამერიკელი იმპერიალისტები შინ და გარეთ

„დაპეშვიდების პროგრამა“

24 აგვისტოს შუა რიცხვებში ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა ჯონ მიტჩელმა გააკეთა საჯარო განცხადება, რომელსაც ამერიკელები ელოდნენ წელიწადზე მეტხანს — 1970 წლის 4 მაისიდან, იმ დროიდან, როდესაც ბარბაროსულად დახვრიტეს სტუდენტთა დემონსტრაცია კენტში. მაგრამ მიტჩელის განცხადებამ მხოლოდ აღშფოთება გამოიწვია. აი ისიც:

„არ არსებობს იმის მტკიცე დასაბუთება, რომ ჯარისკაცებმა სტუდენტებს ეროლეს რაიმე შეთქმულების შედეგად. ასევე, ალბათ, შეუძლებელია ეროვნული გვარდიის ჯარისკაცების მოქმედების წარმატებითი სახამართლო გარჩევა...“

იუსტიციის მინისტრის ეს მშვიდი განცხადება იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი ცდა პასუხისგებაში მისცეს მკვლელობაში დამნაშავე ადამიანები, განწირულია, რადგან მთავრობა მოკლულთა კი, არა მკვლელების მხარეზეა. მართლმსაჯულების გამარჯვების იმედი ამაოა.

რასაკვირველია, მინისტრი არ იყო მეტისმეტად ოფიციალური. მან ილაპარაკა, „ამერიკელთა მწუხარებაზე, რომელსაც იზიარებენ სამინისტროს თანამშრომლები“, აღნიშნა, რომ მისმა თანამშრომლებმა, რასაკვირველია, ყველაფერი გააკეთეს, რათა „მართლმსაჯულებას გეემარჯვა“, და რომ მან, ჯონ მიტჩელმა გადასცა ეს გადაწყვეტილება ოთხი გარდაცვლილი სტუდენტის მშობლებს (დიახ, მინისტრმა იხმარა სიტყვა „გარდაცვლილნი“ და არა „მოკლულნი“), თუმცა კარგად იცის, რომ „სიტყვებს არ შეუძლია შეარბილოს მათი მწუხარება და სასოწარკვეთილება...“

მან აგრეთვე გამოთქვა რწმენა, რომ „ამგვარი ამბავი აღარ გამეორდება და მას თავიდან აიცილებენ კენტის გამოცდილების გამო, და რომ ამის მსგავსი ინციდენტი (მინისტრმა იხმარა სიტყვები „გამოცდილება“, „ინციდენტი“ და არა „დახვრეტა“) არასოდეს აღარ იქნება ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი“.

მე მგონია, რომ სწორედ ჯ. მიტჩელის უკანასკნელ ფრაზაში იმალება იმის ახსნა-განმარტება, რაც მოხდა. „გამოცდილება“ გამორიცხავს „ინციდენტის“ გამეორების შესაძლებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დახვრეტამ და მკვლელთა დაუსჯელობამ უნდა დაარწმუნოს სტუდენტები, რომ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტი უაზრობაა და ყოველგვარი წინააღმდეგობა, კონსტიტუციის ფარგლებში გამბატონებულიც კი, მეცარად იქნება აღვილი, დამსჯელნი კი ამაზე პასუხს არ აგებენ.

და კიდევ რამდენიმე სიტყვა დასასრულ. ჩემი სიტყვები კი არა, იმ ოთხი სტუდენტის მშობლთა სიტყვები.

ცოლ-ქმარი შრედერები, ქალაქ ლორეინიდან, ოჰაიოს შტატი (მოკლულია მათი ვაჟი, ცხრამეტი წლის უილიამი). „აქამდე გვჯეროდა ჩვენი მმართველობის სისტემისადმი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „იცისრა მსოფლიო უანდარმის ფუნქციები“.

სენატორის თქმით, თეთრი სახლის მიერ გამოცხადებული „ახალი ეკონომიური პოლიტიკა“, კერძოდ, ნაკარნახევი მთავრობის იმ მისწრაფვებით, რომ შეამციროს ამერიკის საგადამხდელო ბალანსის მზარდი დეფიციტი საზღვარგარეთ ვიეტნამის არამწარმოებლური ხარჯების გადიდებასთან დაკავშირებით.

მენსფილდმა განაცხადა, რომ თოჯერ უნდა შემცირდეს ამერიკის 300-ათასიანი არმია დასავლეთ ევროპაში და გუშმდეს ამერიკის მიერ საზღვარგარეთ შექმნილი 2 ათასი სამხედრო ბაზის უმრავლესობა.

სენატორმა თქვა, რომ განზრახული აქვს კონგრესის განსახილველად შეიტანოს შესაბამისი კონსტიტუციური ტ და აღნიშნა, „რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ „უნდა გადასინჯოს მთელი თავისი პოლიტიკა დასავლეთ ევროპაში“.

ჯონ ლორეინიდან, ოჰაიოს შტატი

(მოკლულია მისი ვაჟი, ცხრამეტი წლის უილიამი).

„ჩვენ დავკარგეთ რწმენა ჩვენი ადმინისტრაციისადმი. განვიცადეთ შოკი, მთავრობის გადაწყვეტილება რომ გავიგეთ, თითქმის ისეთი, რომელიც გადავიტანეთ 1970 წლის 4 მაისს, როდესაც ჩვენი შვილების მკვლელობის ამბავი შეგვატყობინეს...“

ასეთია კენტის ფინალი.

„თუმცა ჯერ არ შემდგარა იმ სტუდენტთა და მასწავლებელთა გასამართლება, რომლებიც მონაწილეობდნენ ანტისამარ დემონსტრაციაში და რომლებიც სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ ოჰაიოს შტატის დიდი ჟიურის გადაწყვეტილებით.

ასე რომ კენტის ფინალი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ წინ არის...

ბ. ბოროვიკი.

ნიუ-იორკი.

მიღებულია ტელეფონით.

ყველგან, შინ თუ გარეთ, ერთნაირი ცინიზმით მოქმედებენ ამერიკელი იმპერიალისტები. ვიეტნამში ისინი ანადგურებენ ქალაქებსა და სოფლებს, ხოცავენ ბავშვებსა და ქალებს, უდანაშაულო მოხუცებს, შინ კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სასტიკად უსწორდებიან დემოკრატიული უფლებებისათვის მებრძოლთ, ომის მოწინააღმდეგეებს.

სურათებზე: თქვენ ხედავთ პოლიციური სახელმწიფოს გაწვრთნილ ჯარისკაცებს მორიგი „სამეშაოს“ შესრულების დროს — ასე აწამებენ უდანაშაულო ვიეტნამელს (ზემოთ); ასე უსწორდებიან ომისაწინააღმდეგო დემონსტრაციის მონაწილეს (ქვემოთ).

ფოტოები გაზეთ „ლეიბორისტი“.

„ოლსტერში“

„მაგარი ხელის“ პოლიტიკა

ლონდონი. 24 აგვისტო. (საკადესი). ბელფასტის მცხოვრები ჯოზეფ მარფი დღეს ბარდაიცვალა კოსიტალში პრილიბის შედეგად, რომელიც ბელფასტის რაიონის მცხოვრებლებსა და ინგლისის ჯარებს შორის მოხდარი ერთერთი შეტაკების დროს მიეღო.

სულ მას შემდეგ, რაც 9 აგვისტოს ძალადი შევიდა „საგანგებო უფლებამოსილებათა კანონის“ დებულებანი, რომელიც ითვალისწინებს დაპატიმრებასა და საპყრობილეში ჩასმას გაუსამართლებლად და გამოუძიებლად, ოლსტერში დაიღუპა 29 კაცი.

ახლა ბელფასტის, ლონდონდერის, არმისა და ოლსტერის სხვა ქალაქების ბევრი რაიონი ნანგრევებადაა ქცეული ბომბების აფეთქებისა და ხანძრების შედეგად. მართალია, უკანასკნელ დღეებში დაძაბულობა ჩრდილოეთ ირლანდიაში რაშდენადმე შენელდა, მაგრამ ოლსტერის დემოკრატიული საზოგადოება და კათოლიკური რაიონის მცხოვრებნი განაგრძობენ აქტიურ ბრძოლას „საგანგებო უფლებამოსილებათა კანონის“ გაუქმებისათვის. ჩრდილოეთ ირლანდიაში კომენდანტის საათის შემოღების გეგმების წინააღმდეგ.

მუშაობა დაიწყო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მიერ შექმნილმა ოლსტერის საბჭომ, რომელიც მოწოდებულია შეცვალოს მთავრობა და სტორმონტი (ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტი). დღეს ამ საბჭოს წარმომადგენლები დუბლინში ჩავიდნენ, სადაც შეხვდნენ ირლანდიის პრემიერ-მინისტრს ჯ. ლინჩს.

ამავე დროს ინგლისის მთავრობა განაგრძობს „მაგარი ხელის“ პოლიტიკას ოლსტერში. ჩრდილოეთ ირლანდიაში გადასაყვანად ამზადებენ ახალ სამხედრო ქვეგანაყოფებს. მთელ რიგ ქალაქებში მიიდინარეობს ჩხრეკა და დაპატიმრება.

მთავრობამ აგრეთვე უარყო ლეიბორისტული ოპოზიციის ოფიციალური მოთხოვნა, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ პარლამენტის საზაფხულო არდადეგები, რათა განეხილათ ჩრდილოეთ ირლანდიაში შექმნილი მდგომარეობა.

ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე

დელი. 24 აგვისტო. (საკადესი). ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე კვლავ დაძაბული ვითარებაა.

როგორც იუწყება დღეს იუნაიტედ ნიუს ოფ ინდიას სააგენტო, უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში პაკისტანის ჯარებმა არაერთხელ აუტეხეს ინტენსიური სროლა სახაზღვრო დასახლებულ პუნქტებს ასამის, დასავლეთ ბენგალიის შტატებში და ტრიპურის საკავშირო ტერიტორიაზე.

არის მსხვერპლი.

რუმინელი ხალხის დღესასწაული

რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — ფაშისტური უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლების 27 წლისთავის აღსანიშნავად 23 აგვისტოს გაიმართა თბილისის საზოგადოებრივის წარმომადგენელთა საზეიმო კრება.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოშაძემ.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების მეგობრობის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. სუმბაძემ, რომელმაც ილაპარაკა რუმინელ მშრომელთა წარმატებებზე სოციალიზმის მშენებლობაში, რაც მოპოვებულია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის შედეგად, რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

მომძმე რუმინელ ხალხს მეგობრულად მიეულოცეს და ყოველივე საუკეთესო უსურვეს პროფესორმა ვ. მაჭარაძემ, № 1 ღვინის ქარხნის მუშამ ი. შაფაქიძემ, კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ი. გურგენიძემ.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოებას.

ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების დღისადმი მიძღვნილი კრება გაიმართა 24 აგვისტოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, რომელიც საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების კოლეგიტიური წევრია. მოხსენება გააკეთა ბიბლიოთეკის დირექტორმა ა. კაკაბაძემ.

(საკადესი).

„დაპეშვიდების პროგრამა“

აღდგომის წლის ამერიკელთა გერნდონი ცხრაძეტი წლის ასაკი ჯარში გაიწვიეს და ვიეტნამში გაგზავნეს სეფეიეტ-„ძიებელად“. 1968 წლის ოქტომბრიდან 1968 წლის თებერვალამდე მოხსენელიობდა „დაძებდების პროგრამაში“. ამის შემდეგ მსახურობდა დასავლეთ გერმანიაში („იცავდა თავისუფალ სამყაროს“).

როდესაც სერჟანტმა ჯონ გერნდონმა კვლავ მიიღო ვიეტნამში გაგზავნების ბრძანება, იგი დეზერტირი გახდა, ალარ დაბრუნებულა ამერიკის შეერთებულ შტატებში. არმიიდან გაქცეული ასობით ახალგაზრდა აქეოიკელი ძარწის ახლა ევროპასა და კანადაში. ჯონ გერნდონი პარიზში გამომავალ ეფრხალ „აქტში“ თანამშრომლობს, რომელიც დაარსებულია იმ ამერიკელ ჯარისკაცთა დასახმარებლად, ვინც ვიეტნამის ომის დეზერტირია.

ფრანგულ გაზეთ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტმა ჯ. გერნდონს რამდენიმე კითხვით ეთარა ეს ასეთი პასუხი მიიღო:

კითხვა: თქვენ რამდენიმე თვე ბიენ ხოას ბანაკში იმყოფებოდით. როგორ პირობებში არიან იქ სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები?

პასუხი: ტუსაღები იმყოფებიან კარავებში, რომლებსაც შვიდი-რვა რიგი მავთულხლართი აქვს შემოვლებული. დაცვას ოთხი საგუშაგო აქვს. ბიენ ხოაში წესით მხოლოდ 600 პატიმარი უნდა იყოს, მაგრამ ყოველთვის ათასზე მეტია.

კითხვა: რამდენი პატიმარია კარავში და ვინ არიან ისინი?

პასუხი: კარავში ჩვეულებრივ რვა ტუსაღი უნდა იყოს, მაგრამ უფრო ხშირად იქ 10-15 ადამიანია. ყველა ისინი დაპატიმრებულნი არიან პატრიზანებთან კავშირის ექვით.

კითხვა: ბრაგალ ბანაკში არის „ვეფხვის ბალიები“, იყო ისინი ბიენ ხოაში?

პასუხი: ჩვენთან, „ყუთები“ იყო. ეს არის ლითონის კონტეინერი, რომლითაც სამხედრო აღჭურვილობა გადაიკეთ. ამათი ჩვეულებრივი ზომებია ორი მეტრი ეოთ მეტრსა და ოცდაათ სანტიმეტრზე. ამ კონტეინერში ტეხილნენ ტუსაღებს. ძირიდან იქ სხეულის ისეთი, როდესაც ბრძოლებიც და ტრავეები ძალიან. ისინი ანსოლუტურ სიბნელეში და დახშულ ყუთში სხედან.

კითხვა: ქვება?

პასუხი: მათ აძლევენ დღეში ორჯერ პატარა მათლაფა სითხეს და ტოტოდენ ბრინჯს. თუ ოჯახის ყვავრეს პაემანზე უფლებენ, მათ მოაქვთ საკვები, მაგრამ დაცვა ხელს ურევს მოტანილ საკვებში, ეძებს აკრძალულ ნივთებს, და ტუსაღებს ხანდაზმული რჩებათ.

კითხვა: ესწრებოდით დაკითხვებს?

პასუხი: მაშინ, როდესაც მრჩველი ვიყავი, საიგონის ხაზინელები ვესწრებოდი დაკითხვებს, რომლებსაც საიგონის რეინჯერების (დამტყმელი ნაწილები, — რედ.) 33-ე ჯგუფის ჯარისკაცები აწარმოებდნენ. ერთხელ მეკობგის დელტაში, რომელიღაც სოფელს შემოვარტყეთ ალყა და ექვმიტანილები დავაპატიმრეთ. ერთ მათგანს ისე სცემეს, რომ სული ძლივს ედგა. ორივე ხელი და ფეხი გადაუტეხეს. შემდეგ მდინარეში ჩაგდეს. ტყვეს დაკითხვაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ მოსასენებაში გაატარეს როგორც პარტიზანი.

კითხვა: განა ყველა დაპატიმრებული მართლა პარტიზანია?

პასუხი: ჩვენი არმიისათვის ისინი ყველანი „ვიეტკონგელები“ არიან. სიხამდვილეში მათ აპატიმრებენ პარტიზანებთან კავშირის ექვით. ყველაზე საშინელი შთაბეჭდილება დამრჩა ტეტის ზეიმის (ახალი წელი) შემდეგ 1968 წელს. მაშინ ჩვენს ჯგუფს ერთ სოფელთან ეჭირა თავდაცვა. შეშინებულმა გოგონამ ქუჩა გადაირბინა და ჯარისკაცებმა იგი მოკლეს. შეტევის შემდეგ ჩვენმა ბიჭებმა დახიეს გოგონას საბუთები და საქმე ისე წარმოადგინეს, თითქოს პარტიზანი მოკლეს. ასე იქცევიან ყოველთვის, როცა ვინმეს კლავენ. თუ მსხვერპლს აქვს საბუთები, მათ ანადგურებენ და საქმეს ისე წარმოადგენენ, თითქოს იგი პარტიზანი იყო.

ეი რაში მდგომარეობს ჩვენი „დამშვიდების პროგრამა“.

„ლუმანიტე“ (საფრანგეთი).



მკვლელთა კრედო

„თუ კლავთ და კმაყოფილებას განიცდით, — სადისტი ხართ...“

„თუ კლავთ ფულის გულისათვის, — დაქირავებული ხართ...“

„თუ კლავთ ამ ორი მიზეზის გამო, — რეინჯერი ხართ!“.

ეს პლაკატი გამოკრულია საბრძოლ ვიეტნამში — ამერიკის ერთ-ერთი ბაზის შესასვლელთან. იქ განლაგებულია რეინჯერების (დამრტყმელი ძალები) ნაწილები.

ჯონ ლორეინიდან, ოჰაიოს შტატი

(მოკლულია მისი ქალიშვილი, ცხრამეტი წლის ელისონი. გახსოვთ ის გოგონა, „აკრძალული პორტუგალიის კომუნისტური პარტიის 12 აქტივისტი, ნიკეროა“ (დაპატიმრებულნი, რომელთა — ორის ერთი ქალია, დღემდე გაუსამართლებლად და ბრალდებულად ყავთ ციხეებში, ან ლაგერებში ან ციხეებსა და ლაგერებში იცავენ).

● ინდოეთის მთავრობამ გადაწყვიტა არ განაახლოს შეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ინდოეთისათვის სურსათის მიწოდების შესახებ. ეს განაცხადა სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სახელმწიფო მინისტრმა ანასახიბ ჯ. შინდეშ. განცხადება ადგილობრივ ეკონომიურ მიმოხილველებს მიანჩნიათ როგორც დადასტურება უდაო წარმატებებისა, რომლებიც ინდოეთმა მოიპოვა სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

● ბელფასტში კათოლიკეთა უბანში მომხდარი შეტაკების დროს მოკლეს კიდევ ერთი ინგლისელი ჯარისკაცი. ეს უკვე მე-15 ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეა, რომელიც წელს ჩრდილოეთ ირლანდიაში დაიღუპა.

● ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ე. ჰიტმა ოფიციალურად უარყო პარლამენტის ლეიბორისტული ოპოზიციისა და ინგლისის საზოგადოებრიობის მოთხოვნა, რომ ორი თვის წინათ პოლიციამ „აკრძალული პორტუგალიის კომუნისტური პარტიის 12 აქტივისტი, ნიკეროა“ (დაპატიმრებულნი, რომელთა — ორის ერთი ქალია, დღემდე გაუსამართლებლად და ბრალდებულად ყავთ ციხეებში, ან ლაგერებში ან ციხეებსა და ლაგერებში იცავენ).

● იუგოსლავმა პრაქტიკულმა 3. მედოვიჩმა, რომელიც გათხრებს აწარმოებდა დუნაის ნაპირზე, ქალაქ ნოვი-სადის მახლობლად აღმოაჩინა მამონტის ჩონჩხი. იქვე იპოვეს ნაშთები ძველებური იარაღისა, რომლითაც, როგორც ჩანს, მოკლეს ეს ცხოველი.

● უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ძლიერი წყალდიდობის შედეგად აღმოსავლეთ პაკისტანში დაიტბორა 13 ათასი სოფელი. დაიტბორა 60 ათასი ხანლი. არის მსხვერპლი. ადიდებულმა მდინარეებმა მოსავლის 60 პროცენტი გაანადგურეს.

ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე

დელი. 24 აგვისტო. (საკადესი). ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე კვლავ დაძაბული ვითარებაა.

როგორც იუწყება დღეს იუნაიტედ ნიუს ოფ ინდიას სააგენტო, უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში პაკისტანის ჯარებმა არაერთხელ აუტეხეს ინტენსიური სროლა სახაზღვრო დასახლებულ პუნქტებს ასამის, დასავლეთ ბენგალიის შტატებში და ტრიპურის საკავშირო ტერიტორიაზე.

არის მსხვერპლი.

ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე

დელი. 24 აგვისტო. (საკადესი). ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე კვლავ დაძაბული ვითარებაა.

როგორც იუწყება დღეს იუნაიტედ ნიუს ოფ ინდიას სააგენტო, უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში პაკისტანის ჯარებმა არაერთხელ აუტეხეს ინტენსიური სროლა სახაზღვრო დასახლებულ პუნქტებს ასამის, დასავლეთ ბენგალიის შტატებში და ტრიპურის საკავშირო ტერიტორიაზე.

არის მსხვერპლი.

ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე

დელი. 24 აგვისტო. (საკადესი). ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე კვლავ დაძაბული ვითარებაა.

როგორც იუწყება დღეს იუნაიტედ ნიუს ოფ ინდიას სააგენტო, უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში პაკისტანის ჯარებმა არაერთხელ აუტეხეს ინტენსიური სროლა სახაზღვრო დასახლებულ პუნქტებს ასამის, დასავლეთ ბენგალიის შტატებში და ტრიპურის საკავშირო ტერიტორიაზე.

არის მსხვერპლი.

სანამ სკოლის ზარი დაირეკებოდეს

დრო აღარ ითმენს

ახმეტა. (საკ. კორ.). სულ ცოტა დრო დარჩა სექტემბრის ზარის დარეკვამდე. ახლა მთელი ყურადღება იქითკენ არის მიმართული, რომ თვითეული სკოლა უნაკლოდ შეხვდეს სასწავლო წლის დაწყებას. გულხალვათად არიან იმ სოფლისა თუ ქალაქის მესვეურები და სკოლის ხელმძღვანელები, რომლებმაც დროზე იზრუნეს სასკოლო შენობების, ინვენტარის შეკეთებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების საჭირო ხელსაწყოებით აღჭურვისათვის. ასეთნი კი რაიონში ცოტანი როდი არიან. მაგალითად, ახმეტის პირველი და მეორე, ქვემო ალვანის, ბალიანის, ოფეოს, აწყურის საშუალო, წინუბნისა და ჯორეთის რვაწლიან სკოლებში დროულად ჩატარდა რემონტი, და ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ სასწავლო წელი სავსებით ნორმალურ პირობებში დაიწყოს.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს სოფელ აწყურის საშუალო სკოლის მოსწავლე კომკავშირელებმა. მათ თავიანთი ხელით შეაკეთეს სასკოლო ინვენტარი, საგულდაგულოდ შეღებეს კარფანჯრები, იატაკი, კედლები, რემონტის ჩასატარებლად სკოლამ მხოლოდ უმნიშვნელო თანხა დახარჯა. ყველაფერი მოსწავლე ენთუზიასტებმა გააკეთეს.

მაგრამ საწყენია, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში წარმატებათა ფონზე შავ ლაქებიც მოჩანს. ზოგ სოფლის სკოლაში ჩატარებული რემონტის ხარისხი დაბალი, ხოლო სოფელ ჯოყოლოს რვაწლიანი სკოლის კაპიტალური რემონტი მეტად გაჭიანურდა. აქ ჯერ კიდევ შესაკეთებელია სახურავის ნაწილი, იატაკი, კიბე, ალვანი, საკვამლე მილები, შესათეთრებელია კედლები.

დრო არ ითმენს. საჭიროა სასწრაფო ღონისძიებათა გატარება, რომ მოკლე დროში დამთავრდეს ჯოყოლოს სკოლის რემონტი და ამ სოფლის მოსწავლეებმაც სიხარულით შეაღონ 1 სექტემბერს მშობლიური სკოლის კარები.

ა. თვალიაშვილი.

სკოლის ჩირაღდნები

ზარის დარეკვის წინ დაბა მიიკოვსკი და რაიონის სამ სოფელში სწავლის ახალი ჩირაღდები აინთო.

მაღალმთიანი სოფელი ზედა ზეგანი დაამშვენა საშუალო სკოლის ახალმა საუკეთესო შენობამ, რომელიც საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამტრედიის № 2 სამშენებელი ტრესტის მე-4 მოძრავი მექანიზებული კოლონის (უფროსი ლ. ყიფიანი, სამუშაოთა მწარმოებელი ჯ. საღსინიშვილი) კოლექტივმა ააგო. ახალ სკოლას ცენტრალური გათბობის სისტემაც მოუწყეს.

კარგი საჩუქარი მიიღეს სოფელ როკითის მშრომელებმაც. აქ ხაჭართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის (მმართველი გ. აბესაძე) მე-3 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ნ. ჩაგიავი, სამუშაოთა მწარმოებელი დ. თევდორაძე) მშენებლებმა გათვალისწინებულ ვადაზე ადრე გადასცეს საექსპლოატაციოდ სამუშაო სკოლის ახალი ორსართულიანი შენობა, რომელსაც დიდი სპორტული დარბაზი მიუშენეს. ამ სკოლამაც ცენტრალური გათბობის სისტემა გაიკვანძა.

1 სექტემბერს ახალ სასკოლო შენობაში მიუსხდებიან მერხებს აგრეთვე სოფელ დიდველის დაწყებითი სკოლის მოსწავლეები. ეს ახალი სკოლა კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მაიაკოვსკის სამშენებლო-სარემონტო უბნის (უფროსი ვ. ღვინჯოია) მშენებლებმა ააშენეს. დაბა მაიაკოვსკის ვ. ნინოშვილის სახელობის სამუშაო სკოლასთან მოსწავლეთა მისაღებად მზად არის 50 ბავშვისათვის გათვალისწინებული სასკოლო ინტერნატი.

შ. ჯავახაძე.

როცა საგჯო ზრუნავს

ჯერ კიდევ სასწავლო წელი არ დამთავრებულიყო, რომ საშორეს რაიონის ალის სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე გ. ნოზაძე) შეუდგა სკოლების რემონტს. ამ მიზნით შეიქმნა კომპლექსური ბრიგადა, რომელშიც გაერთიანდნენ მღებავები, მონტიორები და დურგლები. აღმასკომმა თანხების გადარიცხვით მათ საჭირო მასალები შეუძინა და ისინიც მუშაობას შეუდგნენ.

ცხეთოჯვრის, აძვისის, დუშაცოვის, უწლევის, კლდისწყაროს დაწყებით და ნაბახტევის რვაწლიან სკოლებში უკვე დამთავრდა სარემონტო სამუშაოები.

ბრილის რვაწლიან სკოლას მიუშენდა ერთი ოთახი, შეკეთდა სახურავი, სასკოლო ინვენტარი შეიღება ზეთის საღებავებით. მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა ქინძათის რვაწლიან სკოლაშიც.

ამჟამად უურადღების ცენტრშია ალის საშუალო სკოლა. ეზოში საამოთხიანი ბის შენობა დაიდგა, რომელიც მალე მზად იქნება.

ს. ხეთაგური.



გეგეჭკორი. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში თვითეული კაცის ყურადღებას უპყრობს მიექცევს კოხტად ნაგები ახალი სამსართულიანი შენობა. აქ წელს პირველ სექტემბერს მეცადინეობას დაიწყებს გეგეჭკორის მეორე საშუალო სკოლის 412 მოსწავლე. ახლინ ახწავლიან ფართო, ნათელ ოთახებში, სათანადოდ აღჭურვილ კაბინეტ-ლაბორატორიებში, მათ განკარგულებაში იქნება კარგი სპორტული დარბაზიც.

სურათზე: გეგეჭკორის ახალი სასკოლო შენობა.

ფოტო ბ. ჯაფარიძისა.

ფიქრები ჩვენს თეატრსა და დრამატურგიაზე

სეზონი დამთავრდა, სეზონი იწყება

ბოლო ხანებში მწერალთა და თეატრალურ მოღვაწეთა ყრილობებზე, პრესაში და თვით თეატრალურ კულუარებშიც საკმაოდ ბევრი კრიტიკული აზრი გამოითქვა ჩვენი თეატრისა და დრამატურგიის მისამართით. სადავო და საკამათო მართალაც ბევრია, მაგრამ თვით მართალი შენიშვნაც კი ზოგჯერ უსარგებლო ხდება, თუ კრიტიკა არ იძლევა თანამედროვე თეატრალური პროცესების ანალიზს, მით უფრო უსარგებლოა, როცა იგი ცალმხრივია და თავისუფალიც არ არის მოკერძოებისა და სუბიექტივიზმისაგან.

მწერლები თეატრს უსაყვედურებენ (რომ ცოტა იდგმება ქართული პიესები), თეატრი კი მწერლებს (რომ ცოტა იწერება კარგი პიესები), და ასე გრძელდება წლიდან წლამდე. გადის დრო, იცვლება ცხოვრება, მოდიან ახალი თაობები, იბადება ახალი ფაქტორები, პრობლემები — ყველაფერი მოძრაობს, იზრდება, ვითარდება, ჩვენს თვალწინ იშლება სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნის გრანდიოზული პერსპექტივები, მაყურებელი მოწმე ხდება ზღაპრული და სასწაულებრივი მოვლენებისა, ყოველდღიურად იგრძნობა გარდაქმნისა და განახლების პროცესი. ასეა ცხოვრებაში, ასეა გრძნობს და განიცდის ის მაყურებელი, რომელიც თეატრში მოდის.

აი ამ ფონზეა კამათი, რომელიც ძალიან გვაგონებს ძველსა და დაშტამპულ სპექტაკლს.

როგორ შეიძლება არ დავინახოთ ის ცვლილებები, რომლებიც ჩვენს დრამატურგიასა და თეატრში მოხდა? განა დღევანდელი თეატრი ის არის, რაც თუნდაც ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ იყო? ნუთუ ყველაფერი ისევ ისე დარჩა და მხოლოდ მაყურებლის განწყობილებანი შეიცვალა?

რასაკვირველია, არა. ჩვენმა თეატრმა რთული, წინააღმდეგობრივი პროცესი გაიარა. მან საკმაოდ ძლიერი რყევა და ცვლილებანი განიცადა „რომანტიკული", „ინტელექტუალური" და „ფსიქოლოგიური" თეატრის ტენდენციებს შორის. ისე დაიწყო 70-იანი წლები, რომ ვერც ერთმა ამ სტილმა თანამედროვე ეტაპზე ჯერ კიდევ ვერ პპოვა კლასიკური სრულყოფა და დაადგა სულიერი გარღვევისა და ემპირიული განახლების მტანჯველ გზას. თეატრს არ შეუძლია მარტო ტრადიციით (რაოდენ კარგიც უნდა იყოს!) იცოცხლოს, ვერც ექსპერიმენტულია, თუნდაც ოსტატური ფონეტიორობა გაიკვანძოს ფონს. იგი უადრესად თანამედროვე ხელოვნებაა და მისი სასიცოცხლო ენერგიაც სწორედ ამ თანამედროვეობაშია. ჩვენი თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან იგრძნო გარდაქმნისა და განახლების აუცილებლობა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ვერ მოინახა ის გზები, რომლებიც მას იმგვარ წარმატებას მოუტანდა, როგორიც ჩვენს თეატრს თუნდაც 30-იან წლებში ჰქონდა.

თეატრმაც და მაყურებელმაც ნათლად დაინახა, რომ 60-იან წლებში დაიწყო თაობათა მონაცვლეობის რთული პროცესი. ჩვენს თვალწინ დაიწყო გარსკვლავთცვენა. სცენიდან წავიდა ინდივიდუალური ხელწერის ბევრი მსახიობი, ცვალებადობის უმმობელი ლოგიკა შეეხო რესპუბლიკის ყველა თეატრს (განსაკუთრებით კი რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს). აქტიორთა იმ თაობამ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ სატრიბა თეატრს და თითქმის ნახევარი საუკუნე განსაზღვრული როლი შეასრულა თეატრში, არსებითად 60-იან წლებში (ერთი-ორის გამოკლებით) დასასრულა თავისი მოღვაწეობა.

თავის მსახიობს შეჩვეული აუდიტორიაც შეიცვალა თანდათან. მოვიდა ახალი მაყურებელი (რომელიც სათანადო დიფერენციირებულია) და მან თეატრისაგან მოითხოვა თავისი ფიქრის, აზრის, სიხარულის, ტკივილის და საერთოდ იმის გამოსახვა, რაც მის სულში ხდება. ამის გაკეთება კი თეატრს არ შეეძლო ახალი დრამატურგიის, პირველ რიგში ეს სწორედ ახალი პიესების ბრალია. ჩვენმა დრამატურგიამაც იგრძნო მომხდარი ცვლილებები, მაგრამ, სამწუხაროდ, არც თეატრი და არც დრამატურგია (გამონაკლისს გარდა) მზად არ აღმოჩნდა შეექმნა ახალი მსატვრული სინამდვილე, რომელიც დაკმაყოფილებდა თანამედროვე მაყურებელს. დიდი სირთულის წინაშე დადგა ორივე. ნაცვლად იმისა, რომ მათ წინაშე წამოჭრილი სიძნელეები ერთად გადაეწყვეტათ, მოეხდინათ ალთა კონსოლიდაცია, ხშირ შემთხვევაში (თავიანთი სუსტი მხარეების დასაფარავად) დაადგნენ ერთმანეთის დისკრედიტაციის გზას ხოლო იქ, სადაც გაუვლ ერთმანეთს, შედეგიც კარგი მიეიღეთ.

ესოდენ დიდი ნაკლის მიუხედავად, მაინც რა ცვლილებები მოხდა დრამატურგიაში? პირველ რიგში კორექტივი უნდა შეეტანოთ საკმაოდ ძველმოდურსა და მოარული ფრაზაში — „დრამატურგია ჩამორჩენილი ჟანრია". ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან ვამტკიცოთ, რომ დრამატურგიამი ასლა თითქოს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მაგრამ განა შეიძლება არ დავინახოთ ის, რასაც ჩვენმა დრამატურგიამ ბოლო წლებში მიაღწია? ქართულ დრამატურგიას ასლა ხანმეორეა კაკაშირი ერთ-ერთი წამყვანი მდგომარეობა უჭირავს. ადრე საკავშირო სარბიელზე საქართველოდან მხოლოდ პროზა და პოეზია იყო გასული. ახლა მას დრამატურგიაც შეემატა.

ქართველი დრამატურგების ნაწარმოებები იდგმება მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევისა და რიგის, ალმა-ატისა და ერევნის, ტალინის, ხარკოვის, ოდესის, კუიბიშევის, ყაზანისა და სხვა ქალაქების თეატრების სცენებზე. მათ დგამენ ბერლინის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ფინეთში, პოლანდიაში. ფართოდ გაბმულა ქართული დრამატურგიის მოქმედების რადიუსი. ახლა რესპუბლიკის გარეთ დაახლოებით 50-მდე თეატრის სახელი. ასეთი „ექსპორტი" არ ახსოვს ჩვენს თეატრს მთელი თავისი ისტორიის მახსოვრებაში, და ეს არ მომხდარა ისე, სტიქიურად, დრამატურგიისადმი დახმარებისა და ხელშეწყობის გარეშე!..

როგორც ეს, ისე სხვა ფაქტები, ნათლად მოწმობენ იმ ცვლილებებს, რომლებიც ჩვენს დრამატურგიაში მოხდა. არ შეიძლება არ ვხედავდეთ ამ პროცესს და ჯეროვნად არ ვფასობდეთ მას. მეორე მხრივ არ შეიძლება არ ვხედავდეთ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჩვენს დრამატურგიაშია. ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა მხატვრული ოსტატობისა და პროფესიონალიზმის საკითხს. სკკპ XXIV ყრილობაზე ნათლად და პირდაპირ ითქვა ამის შესახებ. ჩვენს თეატრებს აკლიათ პიესები, რომლებიც ეამოირჩევიან ფართო სოციალური ეფექტიანობით, ძლაფრი და მართალი კონფლიქტებით, — აღსავსეა ასლის გამაოგნებისა და სირთულეების ძლევის პათოსით.

და მაინც, მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, ჩვენი თეატრები, შეიძლება ითქვას, საკმაოდ გულუხვად დგამენ ქართულ პიესებს. საყვედური კი მაინც ისმის თეატრების მისამართით, რასაც, რასაკვირველია, ეალკუნ შემოსვლაში აქვს კიდევ საფუძველი, მაგრამ თეატრისა და ჩვენი დრამატურგიის ურთიერთობის საერთო ტენდენცია სულ სხვაა. სხვას მეტყველებს „სარეპერტუარო სტატისტიკა", ბოლო წლებში ქართველი ავტორების იმდენი პიესა დაიდგა ჩვენს სცენაზე, რომ მთელი ეერო პის დაიდგა ჩვენს სცენაზე, ეს ეროვნული ავტორების ეიდენი ეროვნული ეროვნული ეროვნული

ლიდერები და მათი პერსპექტივები

მიმოვიხილავთ ჩემპიონატის ახალ ტურს, დიდი ფეხბურთის ექვს მატჩს, მათი შედეგებით შექმნილ სატურნირო მდგომარეობას. ძნელია კონკრეტულად დავასახელოთ რიცხვი, რომელ ტურთან გვაქვს საქმე, ზოგისათვის იგი ოცდამეერთეა, ზოგისათვის ნაკლები და მეტიც. ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ ხშირად ირღვევა კალენდარი, თუმცა ყოველ გაზაფხულზე დაბეჯითებით გვპირდებიან შეკვეთათა განრიგის ზუსტ დაცვას. როგორ გაელენას ახდენს ასეთი დაუგეგმავი ფანჯრები გუნდების მომზადების რიტმულობაზე? ყოველ შემთხვევაში არა დადებითს.

ეს მცირე პროლოგი გახლდათ. ახლა თვით ტურზე, ვთქვათ ოცდამეერთეზე. რა მოგვცა მან? თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ არსებით სიურპრიზს, რომელზეც ცალკე გვექნება საუბარი, ყველგან ზავი ჩამოვარდა — ფრეთა კასკადა. უმრავლესობა ადრინდელ პოზიციაზე დარჩა გარდა თბილისის დინამოელებისა. რომლებმაც ორი საფეხურით დაბლა დაიწიეს, ხოლო „მახტაორი“ ერთი საფეხურით მაღლა ამოტივტივდა. ექვს მატჩში 14 ბურთი, ე. ი. თვითეულზე დაახლოებით 2,3 გოლი, არც თუ ცუდი შედეგია, მაგრამ ამ ციფრების დიდი უმრავლესობა ორ მატჩზე („სახტაკორი“ — თბილისის „დინამო“ და „მახტაორი“—მოსკოვის „დინამო“) მოდის, დანარჩენებში — ორი ნულოვანი და ამდენივე 1:1 ფრე.

ამ ეტაპზე დიდ სამეულს განეკუთვნება კიევისა და მოსკოვის „დინამო“, აგრეთვე ერევნის „არარატი“, და არც არაფერი იქნება იმაში გასაკვირველი, რომ საბოლოოდ სწორედ ეს გუნდები აღმოჩნდნენ პრეზიორთა რიგებში. ყოველ შემთხვევაში ორ უკანასკნელზე თუ თავს შევიკავებთ, კიევის დინამოელებს ასე ადრე რომ უწინასწარმეტყველებენ „ოქროს ბრწყინვალეებს“, ამაში უთუოდ აჩის გარკვეული ჭეშმარიტება. დიახ, ათი ქულის ფორა, ისიც მოახლოებულ ფინიშთან, ცოტა როდია. მრავალმხრივი და სოლიდური თამაში, რომლის დეზიზია შემტევი ფეხბურთი, ჩინებული რეზერვი და სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები, ამ გუნდისადმი უთუოდ სიმპათიებით განგვაწყობს. უკანასკნელი ნულოვანი ფრეც კი ლენინგრადში „ზენიტთან“ და მისგან მიღებული 1 ქულა, ჩემპიონობის გზაზე მიმავალი გუნდის ყურადის მნიშვნელოვანი შენაძენია. თავის მხრივ არც აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი — „ზენიტი“ დარჩა განაწყენებული — ლიდერთან ფრე, სხვას რომ თავი დავანებოთ, პრესტიჟის ქულა იყო.

დედაქალაქის „დინამო“ ყოველთვის იყო და რჩება ერთ-ერთ ფავორატად. აქ არ შევუდგებით დიდ ფეხბურთში მისი დამსახურების აღნუსხვას, ვიტყვით მხოლოდ —რა უხეირო სტარტიც უნდა ჰქონდეს მას, დანაკლისს ზაფხულში და უფრო მოგვიანებით ინასწორებს ხოლმე, ფიზიოლის კი, როგორც იტყვიან, შემოდგომაზე ითვლიან.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ დიდ წინაღადგმულ ნაბიჯს, რომლითაც ერევნის „არარატი“ მოგვეკონა ახალ სეზონში. ეს ის „არარატი“ რიდი, წლების მანძილზე რომ შევეჩვიეთ. სულ სხვა მებრძოლი და მოსოლითური კოლექტივია იგი დღეს. ზოგნი იმასაც კი. ამტკიცებდნენ, რომ „არარატის“ საბურავი მეორე წრეში დაეშვებაო. როგორც ვხედავთ, მეორე წრეც ჩვენს თვალწინ იწურება, ერევნელები კი ლიდერთა ჯგუფს არ შორდებიან. გაკიხსენთ მათი თამაში კიევში „დინამოსთან“, გუშინწინდელი ფრე (1:1 — 64-წუთზე პისკარიოვი, ხოლო სამი წუთის შემდეგ კაზარიანი) თასის მფლობელთან — „სპარტაკთან“ და არაერთი სხვა შეხვედრა. გუნდი სამართლიანად აცხადებს პრეტენზიას საჩარჩო ადგილებზე.

ტურის სენსაცია თბილისის დინამოელთა დამარცხება იყო ტაშკენტში „პახტაკორთან“ — და მერე რა ანგარიშით — 1:5. დავკვირდეთ სატურნირო ცხრილს. აუტსაიდერთა წარმომადგენელს— „პახტაკორს“ 21 თამაშში სულ 3 გამარჯვება აქვს, აქედან თბილისის „დინამოსთან“ — ორი, ბურთების სხვაობით 1-ნ. გავიხსენოთ შეხვედრა ცსკა-სთან 0:6, „არარატთან“ საკუთარ მოედანზე 0:4. სამ მატჩში წარუმატებლობა 1:15, სავალალო არ არის? ადრინდელ მატჩებში წარუმატებლობას ძირითადად მეკარეს მიაწერდნენ, მაგრამ „პახტაკორთან“ შეხვედრაში, ხომ მეკარე სტიფანია ისე არ სცოდავდა, როგორც სხვები. 30-ე წუთზე მარცხენა ნარმარბის ციბინის გარღვევაში გასვლის უნებელსაყოფად ერთბაშად სამი მცდელი გაემართა, ჩამოწოდება, აბდურაიმოვის შეუჩერებელი დარტყმა და გოლი. მომდევნო სამი გოლის ავტორები იყვნენ ყველავ აბდურაიმოვი, სოლოხო და ციბინი. თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ხუფიკოლავამ „პრეკატიას“ ბურთი გაიტანა, მაგრამ იქვე ისაკოვმა გოლითვე უპასუხა.

და მაინც ვფიქრობთ, შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება. წინ ხომ ათი მატჩია!

ფრეშ — 1:1 ალმა-ატაში „კაირატთან“ (41-ე წუთზე ალმაატელმა როგკოვმა, 70-ე წუთზე ჩურკინმა) დონის როსტოვის სკა-ს შვებმა ვერ მოუტანა, იგი უკანასკნელი ადგილიდან ვერ დაიძრა. „კარპატისა“ და „ზარიას“ შეხვედრა ფვიმაში მიმდინარეობდა და ვერც ერთმა მხარემ ვერ გამოიჩინა თავი — 0:0. მინსკის „დინამოსა“ და „ნეფტჩის“ მატჩი 18 სექტემბრისათვის გადაიდო.

ასეთია ახალი ტურის შედეგები — ლიდერთა, აუტსაიდერთა და ზოგიერთი სხვა გუნდის სატურნირო მდგომარეობა და პერსპექტივა. რა თქმა უნდა, მწვავე ფინიშს უნდა მოველოდეთ, დაველოდოთ მას.

ვ. გაბელია.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 25 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	23	14	8	1	32-11	36
„დინამო“ (მ.)	22	8	10	4	28-13	26
„არარატი“	20	9	8	3	25-15	26
ცსკა	24	7	9	8	27-22	23
„კარპატი“	23	5	12	6	27-31	22
„ზარია“	19	7	7	5	20-13	21
„კაირატი“	22	6	9	7	26-30	21
„დინამო“ (თბ.)	20	8	5	7	20-29	21
„ნეფტჩი“	19	6	7	6	24-21	19
„ტორპედო“	18	3	12	3	12-10	18
„სპარტაკი“	20	4	10	6	21-23	18
„შახტიორი“	21	7	3	11	23-26	17
„დინამო“ (მნ.)	20	4	9	7	21-27	17
„ზენიტი“	21	5	7	9	18-25	17
„პახტაკორი“	21	3	10	8	17-35	16
ცსკა	19	4	6	9	19-29	14

ჭადრაკის ამგზები

მოსკოვი. 23 აგვისტო. (საკადესი). მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ბორის სპასკი და საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბორის როდიონოვი დღეს კანადაში გაფრინდნენ, რათა მოამზადონ მეიღონ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ბორიგო ქოზერესის მუშაობაში, რომელიც ვანკუვერში იმსნება.

სხვა საკითხთა შორის კონგრესი გადაწყვეტს საკითხს, არ სდგადროდის უნდა გაიმართოს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა უნასალური მატჩი ტიგრან პეტროსიანსა და რობერტ ფიშერს შორის.

მოსოფლიო პირველობაზე ნ. ალექსანდრიასა და მ. ლაზარევიჩის ნახევარფინალური მატჩის მეხუთე პარტია ჭადრაკში, სადაც ფეგოსლავ მოჭადრაკეს თეთრებით უნდა ეთამაშა, კვირას არ შემდგარა ჩვენი თანამემამულის ავადმყოფობის გამო. ამის შედეგ, როდესაც დადგა პარტიის გათამაშების მორიგი დღე, ახლა ტაიმ-აუტი მ. ლაზარევიჩმა აიღო. ჯერჯერობით კი ანგარიშია 2,5:1,5 ნ. ალექსანდრიას სასარგებლოდ.

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იცოდნენ, ჩინებული სტარტის შემდეგ (2:0) **ნანა ალექსანდრიამ** იოგოსლაველ **მილუნკა ლაზარევიჩისან** მატჩის მესამე და მეოთხე პარტიებში მხოლოდ ნახევარი ქულა აიღო.

ი როგორ მიმდინარეობდა მესამე პარტიის დამთავრება, რომელიც გადადებული იყო შემდეგ პოზიციაში:

თეთრები — **მ. ლაზარევიჩი** — მფg2, ლg6, ეc2, მd6, პ-ი b4, g3, h3.

შავები — **ნ. ალექსანდრია** — მფh8, ლd7, ეa1, კd4, პ-ი b6, e5, g7, h6.

41... ეg1+ (ჩაწერილი სვლა). 42. მფf3 ეf1+ 43. მფe4 ეf8 44. h4 b5 45. h5 კb6 46. ეc1 კa7 47. მf5 ეf5! 48. ლ:f5 ლd4+ 49. მფf3 ლe3+ 50. მფg2 ლd2+ 51. მფh3 ლ:c1 52. ლf8+ მფh7 53. ლf5+ მფg8 54. ლe6+ მფf8 55. ლd6+ მფe8 56. ლ:e5+ მფd8 57. ლd6+ მფc8 58. ლa6+ მფb8 59. ლ:b5+ მფc7 60. ლe5+ მფc8 61. ლ:g7...

ამის შემდეგ ხანგრძლივი მანევრირების შედეგად 91-ე სვლისათვის დაფაზე შეიქმნა ასეთი პოზიცია:

თეთრები: მფg2, პ-ი b5, g4, h5.

შავები: მფg5, კc7, h6.

და აი ამ პოზიციაში, სადაც მოგება იწყებოდა 91... მფf4! სვლით, ნანამ ითამაშა 91... მფf5, რამაც პარტია 104-ე სვლაზე ყაიმამდე მიიყვანა.

ახლა გავეცნოთ მატჩის მეოთხე პარტიას.

ნ. ალექსანდრია — მ. ლაზარევიჩი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კ:d7+ ლ:d7 5. 0—0 მc6 6. c3 მf6 7. d4 cd 8. cd d5 9. e5 მe4 10. მe1 f6 11. f3 მg5 12. კ:g5 fg 13. f4 gf 14. მd3 e6 15. მ:f4 0—0—0 16. მc3 კe7 17. ლd3 კg5 18. მb5 ეdf8 19. მd6+ მფb8 20. ლg3 კd8 21. ლh3 კb6 22. ლ:e6? კ:d4+ 23. მფh1 ლ:e6 24. მ:e6 ეf1+ 25. ეf1 კ:e5 26. მf7 ეe8 27. მ:e5 ეe6 28. მd7+ მფc7 29. მf8 ეe2 30. h4 d4 31. ეf7+ მფd6 32. ეd7+ მფc5 33. მფh2 ეe7 34. ეe7 მ:e7 35. მფg3 მფd5 36. მ:h7 მf5+ 37. მფg4 d3 38. მფf3 მფd4 39. h5 მg3. თეთრები დანებდნენ.

ათასწლიერი

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

შირაქი მინლიმოვის ოჯახს სქმი გოგო შეემატა

ბაკო. (საკადესი). შირაქი მისლიმოვის — ჩვენი ქვეყნის უხუცესი მეხოვრების მეილიშვილს შინანაზ ფარზიევას ერთად ეყოლა სამი გოგო. ახლა 166 წლის პატრიარქს, რომელიც მაღალი მთის სოფელ ბარზავეში ცხოვრობს, 220 შთამომავალი ყავს.

პატარები და მათი დედა თავს კარგად გრძნობენ. ახლა — შინანაზ და შაბეუსეინ ფარზიევებს 13 მეილი ყავთ. მათ უკვე ყავდათ ექვსი ვაჟი და ოთხი გოგონა, რისთვისაც შინანაზი დაჯილდოდა „გმირი დედის“ ორდენით.

რაიონულ ცენტრ ლერიკში, რომლის საშობიაოროშიც წვავს შინანაზი, ბედნიერი შობლებისათვის მისალოცად ჩამოვიდა გვარის უხუცესი შირაქი მისლიმოვი. 40 კილომეტრი გზა მთის სოფლიდან რაიონულ ცენტრამდე მან მანქანით გაიარა.

აი ესეც კუ!

უცნაური კუ დაიჭირა მდინარე მაცესტის მიდამოებში სოფის მცხოვრებმა ზ. ი. ტალეოვამ. „ნელამავლის“ ბაკანს მიმაგრებული ჰქონდა პლასტმასის ფირფიტა წარწერით „თუ დარწმუნებული არა ხარ, ნუ უცდები ბამისწრო! სტავროპოლი. 18. 6. 69“. ახლა მოდი და იფიქრე: კუმ კავკასიას შემოუარა, თუ მთავარ კავკასიონზე გადმოვიდა. დავინ არის ის ხუმარა, ვინც მას ეს „ნომრის ნიშანი“ გაუკეთა?

ხ. ბიკოვსკი.

სოჭი.

„ტრუდ“, 22-VIII.

პირჩია საგ ისწავლი

ქალაქ ფოთის № 12 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ა) სამწლიანი სწავლების ვადით

1. გემის ზეინკალ-მემონტაჟე, 2. გემის კორპუსის ამწყობი, 3. ხარატი, 4. ზეინკალ-ავტომშემკეთებელი, 5. ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის ინდივიდუალური მკერავი.

ბ) ორწლიანი სწავლების ვადით

1. გემის ზეინკალ-მემონტაჟე, 2. გემის კორპუსის ამწყობი, 3. გემის ელექტრომემონტაჟე, 4. ელექტროაერომემფოფილები, 5. რადიოტელეშემკეთებელი რადიოტექნიკოსი.

გ) ერთწლიანი სწავლების ვადით

1. ქალისა და ბავშვის კაბების მკერავები (მასობრივი წარმოებისათვის), 2. მბეჭდავ-საქმის მწარმოებელი, 3. სამრეწველო საქონლის გამყიდველი, 4. ზეინკალ-ავტომძღოლი, 5. გემის I კლასის მემოტორე, 6. გემის ელექტრიკოსი, 7. მშენებელი-მებათქაშის, მღებავისა და კალატოზის განხრით.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 14 წლიდან 30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ არასრული საშუალო და საშუალო განათლება.

სწავლების პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას ან უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამჯერადი კვებით, ბინით, ტანსაცმლითა და ყომუნალური მომსახურებით.

სწავლების პერიოდი ეთვლებათ მუშაობის სტაჟად, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ განაწილდებიან როგორც საბაზო ორგანიზაციებში, ისე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შენიშვნა: 1. **სამწლიანი სწავლების ჯგუფებში ჩარიცხული მოსწავლეები** სპეციალობასთან ერთად მიიღებენ საშუალო განათლებას და უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე.

2. ერთი და ორწლიანი სწავლების ჯგუფებში ჩარიცხულ მოსწავლეებს, **რომლებსაც არა აქვთ** საშუალო განათლება, შეუძლიათ სწავლა განაგრძონ სასწავლებელთან არსებულ მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის შესაბამის კლასში.

3. გემის I კლასის მემოტორისა და გემის ელექტრიკოსის სპეციალობებზე ჩარიცხულ მოსწავლეებს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაუფორმდებათ საჭირო საბუთები საზღვარგარეთ ცურვისათვის და სამუშაოდ გაიგზავნებიან საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს გემებზე თანამედროვე სპეციალობების მიხედვით.

აღნიშნულ ჯგუფებში სწავლება დაიწყება ორ ნაკადად. I ნაკადისა — 15 სექტემბერს, ხოლო II ნაკადისა — 1 ნოემბერს.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა განცხადება სპეციალობის ჩვენებით დირექტორის სახელზე და საჭირო საბუთები ფოთი წარმოადგინონ ა. წ. 30 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

დამატებითი ცნობისათვის მიმართეთ სასწავლებლის დირექციას შემდეგი **მისამართით:** ქ. ფოთი, ტაბიძის ქ. № 12, ტელეფონი № 11-02 და 21-54.

თბილისის № 51 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ზეინკალ-მეიარაღეები, 2. პლასტმასის მწნეხავები, 3. ელექტროსამრეწველო საწარმოო დანადგარების მონტიორები.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე 17-30 წლის ასაკის ვაჟები და გოგონები.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 36 მანეთის ოდენობით, ფრიადოსნები — 45 მანეთს, ამასთან სასწავლებლის ყველა მოსწავლე იღებს საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს. გარდა ამისა, სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები სარგებლობენ სასწავლებელში არსებული სხვა შეღავათებითაც.

მოსწავლეები, რომლებიც წარჩინებით დაამთავრებენ სასწავლებელს, უმაღლესი სასწავლებლის დღის და საღამოს დასწრებულ, ასევე დაუსწრებელ განყოფილებებზე კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლება ექნებათ. სასწავლებელში ჩარიცხული ვაჟები სწავლების შინაძლეზე სარეგბლობენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის განვადებით.

მსურველებმა სასწავლებლის დირექტორის სახელზე მიღების შესახებ განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. **საშუალო სკოლის** ატესტატი (დედანი); 2. დაბადების მოწმობა (დედანი); 3. ცნობა **საცხოვრებელი ადგილიდან,** 4. ფოტოსურათი ზომით 3X4 — 6 ცალი, 5 **პასპორტს,** მიწერის მოწმობას ან სამხედრო ბილეთს წარმოადგენენ პირადად; 6. დახასიათება.

დამატებითი ცნობების გაგება და საბუთების მიღება ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

სწავლა დაიწყება 1971 წლის 1 სექტემბერს.

მისამართი: თბილისი, ლენინის რაიონი, **მაგნიტოგორსკის ქ. № 5** (პლასტმასის ქარხანა). № 51 ტექნიკური სასწავლებელი. ტრამვაი: № 1, 3, 11. ავტობუსი: № 11, 18, 24, 48, 55, 57, 62. მეტრო — „დიდუბე“; ტელეფონი: 66-18-29 ან 66-05-80.

თბილისის რესპუბლიკური ქიმოფექანიკოსთა სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-72 სასწავლო წელს

სასწავლებელში მიიღებიან: არასრული და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ორივე სქესის მოქალაქენი 16 წლის ასაკიდან.

სკოლა ამზადებს მეორე თაობრიგის ქიმმექანიკოსებს სახელმწიფო ქიმოქსელისათვის.

სწავლების ვადა 10 თვეა. **მეცადინეობა იწარმოებს** ქართულ და რუსულ ენებზე. მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია თვეში 20 მანეთი და უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სპეციალისტები განაწილებული იქნებიან სამუშაოდ რესპუბლიკის ქიმქსელში.

სკოლაში შემსვლელნი ვალდებულნი არიან შეიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი). 2. დაბადების მოწმობა ან პასპორტი (წარმოადგინონ პირადად); 3. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ ან სამხედრო ბილეთი (წარმოადგინონ პირადად); 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. ავტობიოგრაფია, 7. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3X4 სმ.); 8. მომართვა ქიმფიკაციის სამმართველოდან (ან ქიმოქსელის დირექციიდან).

ჩარიცხვა იწარმოებს გასაუბრების შედეგად, მხედველობაში მიღებული იქნება ატესტატის ან განათლების მოწმობის ნიშნები და სპეციალობის ელემენტარული ცოდნა.

განცხადებების მიღება წარმოებს მიმდინარე წლის 30 აგვისტომდე, **მეცადინეობა დაიწყება** 1 სექტემბერს.

ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის **დირექციას.** ტელ. 95-92-08 და 95-90-79. **ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა № 48.**

ქ. თბილისის რკინიგზის № 31 პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის

საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები მიიღებიან შემდეგი სპეციალობების მიხედვით:

2-1,5 **და 1 წლის სწავლების ვადით**

1. ელმავლის მემანქანეები (ამ სპეციალობაზე მიიღებიან საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი).
2. გზის ოტატები.
3. საღურის მორიგეები.
4. თბომავლის მემანქანის თანაშემწეები.
5. სამგზავრო ვაგონების გამცილებლები (მხოლოდ გოგონები).

ამ სპეციალობაზე ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას არსებული წესის მიხედვით.

რვა კლასის განათლების მქონე ვაჟები მიიღებიან შემდეგ სპეციალობებზე:

2 **და 1 წლის სწავლების ვადით**

1. ელმავლის მემანქანის თანაშემწეები.
2. ელმავლის შემკეთებელი ზეინკლები.
3. სამგზავრო ვაგონების და ავტომოხრეშების შემკეთებელი ზეინკლები.
4. რკინიგზის სიგნალიზაციის ცენტრალიზაციის და ბლოკირების მონტიორები.
5. რკინიგზის შემკეთებელი ბრიგადირები (უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით).
6. საკონტაქტო ქსელის მონტიორები (უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით).
7. ვაგონის გამსინჯველები.
8. ელექტროშემდუღებლები.
9. მქანეტები.

ზემოთ დასახელებულ სპეციალობებზე ჩარიცხული მოსწავლეები მთლიანად სახელმწიფო კმაყოფაზე იქნებიან. (სამჯერადი კვება, ჩაცმა, დახურვა და სხვა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურება).

ყველა მოსწავლეს ეძლევა საწარმოო სწავლებაზე და საწარმოო პრაქტიკაზე ხელფასის 33 პროცენტი.

საშუალო განათლების მქონეთაგან სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემთხვევაში უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან უკონკურსოდ სპეციალობების მიხედვით, ხოლო რეკომენდაციებ დამთავრებულნი — ინდუსტრიულ, პედაგოგიურ და რკინიგზის ტექნიკუმებში.

სასწავლებელში მოქმედებს ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლა, ჭიდაობის, ცურვის და აკრობატიკის ცენტრალური სექციები.

მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. **განცხადება** დირექტორის **სახელზე;** 2. **დაბადების** მოწმობა (დედანი), 3. **მოსპორტი,** 4. **მიწერის** მოწმობა **ან სამხედრო** ბილეთი, 5. **საშუალო სკოლის** დამთავრების **ან რვა** კლასის **დამთავრების** მოწმობა, 6. **ცნობა** საცხოვრებელი **ადგილიდან,** 7. **ფოტოსურათი** 3X4 10 **ცალი (უქუდოდ).**

სწავლა დაიწყება 1971 წლის 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, ლენინის რაიონი, ოქტომბრის ქუჩა № 134, მეტრო „ოქტომბრიდან“ მეორე გაჩერება. ტრამვაი — 1 და 11, ავტობუსი — 11, 18, 31 და 62, **ტელეფონები:** ქალაქის 66-32-53, 66-45-63, 6-69-61-40, 6-69-65-77, **რკინიგზის:** 61-40, 65-77.

ქ. თბილისის № 60 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის ქართული და რუსული სექტორის შემდეგ სპეციალობებზე:

1. პლასტმასის მწნეხავები, 2. მტვიფრავები, 3. ელექტრომემონტაჟეები. 5. ხარატები. 5. მექანიკურ სამუშაოთა ამწყობი ზეინკლები, 6. ავტომექანიკოსები; 7. მშენებლები.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე გოგონები და ვაჟები 17-25 წლის ასაკამდე.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 23-36 მანეთის რაოდენობით მოსამზადებელი პროფესიების შესაბამისად, აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული ხელფასის 33 პროცენტს. მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებლს ფრიადზე დამთავრებენ, უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებებზე ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. ფოტოსურათი (3X4) 6 ცალი; 5. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად.

სასწავლებელში ახალგაზრდების მიღება წარმოებს საკონკურსო შერჩევით საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატში აღნიშნული ნიშნების საფუძველზე.

სწავლა იწყება 1 სექტემბერს. მისამართი: თბილისი, ა. წერეთლის ქუჩა. № 139, **№ 60 ტექნიკური სასწავლებელი.** ტრამვაი № 1, 10, 3. ავტობუსი 1, 43, 46, 25. მეტრო „დიდუბე“. ტელეფონი 66-45-27. ადგილობრივი 5-53.

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის

მოანგარიშეებს, ბუღალტრებს, **უფროსი** ბუღალტრებისა **და** ალრიცხვის **მექანიზაციის** მუშაკთა (ოპერატორების, ინსტრუქტორ-ოპერატორების, დამპროგრამებლების, მექანიკოსების) **მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ჯგუფებში,** აგრეთვე **აწარმოებს** სოფლის **მეურნეობის ბუღალტერთა მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას დაუსწრებელ განყოფილებაზე.**

მოანგარიშეებს, ოპერატორებისა და მექანიკოსების ჯგუფში მიიღებიან არასრული და სრული საშუალო სკოლის, ხოლო დაწარჩენ ჯგუფებში სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ორივე სქესის მოქალაქენი. კომბინატი სამეურნეო ანგარიშზეა.

დაწვრილებითი ცნობები მიიღება შემდეგი მისამართით: თბილისი — თემქის დასახლება, I კვარტალი, ტელეფონი: 66-05-35, 66-10-36. ტრანსპორტი: ვაგზლის მოედნიდან ავტობუსი № 62, მეტრო „დიდუბიდან“, ტრამვაი № 3, ავტობუსი № 57, სამარშრუტო ტაქსი № 15, გაჩერება კინო „სიხარულთან“.

გორის № 39 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1971-1972 სასწავლო წლისათვის.

სწავლის ხანგრძლივობაა ერთი წელი, წელიწადნახევარი და სამი წელი;

სასწავლებელი ამზადებს ფეიერვერკებს.

სასწავლებელში სწავლების ერთწლიანი და წელიწადნახევრიანი ვადით მიიღებიან არასრული და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული გოგონები 15 წლიდან 30 წლის ასაკამდე, ხოლო სამი წლის სწავლების ვადით 15 წლიდან, რომელთაც აქვთ რვა კლასის განათლება.

ახალგაზრდები, რომლებიც მიღებული იქნებიან სასწავლებელში სამი წლის სწავლების ვადით, სწავლის დამთავრების შემდეგ მიიღებენ სპეციალობის ორჩეული პროფესიის მიხედვით და საშუალო სკოლის ატესტატს.

სასწავლებელში შემომსვლელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: 1. **განცხადება;** 2. ავტობიოგრაფია; 3. ატესტატი (დედანი) **ან** ცნობა **განათლების** შესახებ; 4. **დაბადების** მოწმობა (დედანი); 5. **დახასიათება** სასოფლო საბჭოდან **ან** სკოლიდან; 6. **ცნობა** საცხოვრებელი ადგილიდან.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები იქნებიან სახელმწიფო კმაყოფაზე, უფასოდ იქნებათ კვება, ჩაცმა, კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი და კომუნალური მომსახურება. სწავლის დრო ითვლება უწყვეტ სტაჟად, მოსწავლეები საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს მიიღებენ გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს.

სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მიიღებენ უმაღლეს სასწავლებელში საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებაზე გამოცდების უკონკურსოდ ჩაბარების უფლებას.

განცხადებების მიღება დაიწყო და გრძელდება.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: გორი, ბესიკის 2, ტელ. № 21-53.

რა ვნახოთ, რა ვოქისმინოთ

ტელევიზია

25 აგვისტო

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 12.15 — მხატვრული ფილმი — „ვერტიკალი“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — ბავშვებისათვის „შენი ცხოვრება რომ უფრო საამური იყოს“, 18.55 — განცხადებები, 19.00 — ციკლიდან „ლენინმოსილი პედაგოგი“ — მარიამ ორახელაშვილი, 19.15 — კინონარკვევი, 19.35 — ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, 20.00 — „ხუთწლედი მოქმედებაში“, 20.15 — სატელევიზიო ფილმი, 20.45 — „პარტიის რაიკომი და წარმოება“, 21.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — მხატვრული ფილმი — „მეფე ლირი“ (პირველი სერია).

მეორე პროგრამით

19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. კინოპროგრამა, 19.30 — განცხადებები, 19.35 — მხატვრული ფილმი — „მამაკაცთა დუმილი“, 20.50 — მუსიკალური პროგრამა.

26 აგვისტო

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის — „ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.45 — კინოპროგრამა, 12.25 — პოლონური მხატვრული ფილმი „თოჯინა (პირველი სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — „ის ყველამ უნდა იცოდეს“. 18.30 — განცხადებები, 18.35 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ბიჭუნები“, 20.05 — „დიპუტატი და ცხოვრება“, 20.25 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — „მეცნიერება — წარმოებას“, 22.00— მხატვრული ფილმი „მეფე ლირი“ (მეორე სერია), 23.20 — „ვრცელია“ — საინფორმაციო პროგრამა (ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამით

19.00 — დოკუმენტური ფილმი, 19.30 — განცხადებები, 19.35 — ახალგაზრდობისათვის — „მეზნეობარე ჭაბუკი“, 20.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „მეგობარ-ამხანაგებზე“ (პირველი სერია).

«კომუნისტი» 380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის —